



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №008/20<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ქეთევან ჭალიაშვილი (სტუდენტი)*

### ფაქტები

2020 წლის 20 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა თ. და ლ. ხ.-ებს და მოითხოვეს ადვოკატ ლ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. სამოქალაქო საქმეში, რომელიც დაწყებულია თ. ხ.-ს სარჩელის საფუძველზე, ადვოკატი ლ. ს. წარმოადგენს თ. ხ.-ს მოპასუხე მხარის - მ. ბ.-ს ინტერესებს. საჩივრის ავტორთა პრეტენზიები ეხება ადვოკატ ლ. ს.-ს მოქმედებებს, რომელსაც ის ახორციელებს მ. ბ.-ს დაცვის პროცესში, კერძოდ, მხარეების მიზანი იყო საქმის მორიგებით დასრულება, მოგვიანებით, ადვოკატ ლ. ს.-ს მოქმედებებმა გამოიწვია „ს. ბ.-ს“ და მოპასუხე მხარეებს შორის ურთიერთობის დაძაბვა, რის გამოც ვერ განხორციელდა მორიგების პროცესი ბანკსა და მოპასუხე მხარეებს შორის; აგრეთვე, საჩივრის ავტორები სადაოდ მიიჩნევენ ადვოკატ ლ. ს. მიმართვას ზესტაფონის პოლიციის განყოფილებას ლ. ხ.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელზე ხელმოწერის გაყალბების საფუძველით; ადვოკატმა ლ. ს.-მ პოლიციის განყოფილებას მიმართა საჩივრის ავტორების შვილის წინააღმდეგ, თუმცა საჩივარს არ მოჰყვა ადვოკატისთვის სასურველი შედეგი. ადვოკატმა ლ. ს.-მ კიდევ ერთი საჩივრით მიმართა პოლიციის განყოფილებას თ. და ლ. ხ.-ების შვილის მიმართ, უძრავი ქონებიდან მაცივრების გატანის საფუძველით, რომელსაც არ მოჰყვა რეაგირება, სს „ს. ს.-ს“ მიმართ გაგზავნილი საჩივრის ავტორია ადვოკატი ლ. ს. და მას ეს საჩივარი შედგენილი აქვს, როგორც მ. ბ.-ს წარმომადგენელს. დანარჩენი ორი განცხადების ავტორი და მათზე ხელმოწერია მ. ბ.. საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ადვოკატ ლ. ს.-ს არ აქვს სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, რის გამოც არ აქვს უფლება წარმოადგინოს მ. ბ.-ს ინტერესები სამოქალაქო დავაზე. 2020 წლის 27 იანვარს ადვოკატმა ლ. ს.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ის მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით იცავს კლიენტს - მ. ბ.-ს და თ. და ლ. ხ.-ს ამხელს სიცრუეში.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა), 6.1 მუხლებისა და აპეკ-ის მე-5 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე. ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამგვარად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსის სტანდარტებით. აქედან გამომდინარე იგი უფლებამოსილია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება თუ საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. რაც შეეხება, ადვოკატის დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით წაყენებულ პრეტენზიას, ეთიკის კომისია ვერ განიხილავს განცხადების შინაარსს და ადვოკატის დაცვის სტრატეგიასთან და სამოქალაქო საქმეში წარმომადგენლობასთან მიმართებით, ვინაიდან ადვოკატი არის დამოუკიდებელი პროფესიის მქონე პირი, რომელიც კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას და საქმეზე განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - მ. ბ.-ს ინტერესების დაცვა. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე პრეტენზია არ განუცხადებია მის მარწმუნებელს, შესაბამისად ადვოკატ ლ. ს.-ს მიერ

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/60a4e8a16edd0.pdf/008.20%20ar%20agdzvra%2017.07.2020.pdf>

განხორციელებული ქმედებები შეთანხმებული იყო მისსავე კლიენტთან. ადვოკატი მოქმედებდა რა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რის გამოც მისი საქმიანობა წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კანონიერების პრინციპთან. კომისიამ, ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარეები - თ. და ლ. ხ.-ები არ მიიჩნია უფლებამოსილ განმცხადებლებად მითითებული პრეტენზიების ნაწილში, ვინაიდან „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-6 მუხლის 1(ა) პუნქტის მიხედვით, ეთიკის კომისიისთვის მიმართვის უფლება აქვს პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა.